ს დ ა ს უ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 87

" 27 " 12 2024 წ.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
2025-2031 წლის სტრატეგისა და 2025-2027 წლის სამოქმედო გეგმის
დამტკიცების შესახებ

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის 2025-2031 წლის სტრატეგია (დანართი 1) და 2025-2027 წლის სამოქმედო გეგმა (დანართი 2);

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: აკადემიური საბჭოს დადგენილება № 8 (26. 12. 2024).

რექტორი თ. ქორიძე

დანართი 1

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

27.12.2024 წ.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2031

თბილისი, 2024

შინაარსი

დოკუმენტის შესახებ....3

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი....3

ორგანიზაციული სტრუქტურა....7

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისია....7

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხედვა....8

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ღირებულებები....8

SWOOT ანალიზი....10

სტრატეგიული პრიორიტეტები - სტრატეგიული მიმართულება/პრიორიტეტი 1 – ინსტიტუციური გაძლიერება....15

სტრატეგიული პრიორიტეტი 2 - ხარისხის უზრუნველყოფის გაძლიერება....17

სტრატეგიული პრიორიტეტი 3 - პროგრამული გაძლიერება (საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გეგმების და სწავლების მეთოდების მოდერნიზაცია)....19

სტრატეგიული პრიორიტეტი 4 - სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების განვითარება....22

სტრატეგიული პრიორიტეტი 5 - სტუდნეტები (სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სერვისები და დასაქმება)....24

სტრატეგიული პრიორიტეტი 6 - ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ჩართულობის გაძლიერება....26

სტრატეგიული პრიორიტეტი 7 - სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება...29

დოკუმენტის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას 2025-2031, რომელსაც დანართის სახით თან ახლავს სამოქმედო გეგმა, აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავენ უნივერსიტეტის მისიის და ხედვის შესაბამისად მომდევნო 7 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის და მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულების განვითარების ძირითად პრიორიტეტებს.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025-2031 განხორციელდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და, დაგეგმვისა მეთოდოლოგიის (ბრძანება #136, 27.12.2023 წ.) შესაბამისადად, ყველა დაინტერესებული მხარის (ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები, უცხოელი ექსპერტი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა.) ჩართულობით.

არსებული ვითარების შეფასებისა და განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 20 სექტემბრის N73 ბრძანებით შეიქმნა სტრატეგიული განვითარების გეგმისა (2025-2031) და სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფი. ჯგუფს დაევალა სტრატეგიული განვითარების გეგმისა (2025-2031) და სამოქმედო გეგმის შემუშვება და საბოლოო სახით მისი წარმოდგენა არაუგვიანეს 2024 წლის 27 დეკემბრისა. დადგინდა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმისა (2025-2031) და სამოქმედო გეგმის სამუშაო ჯგუფში ჩაერთოს ყველა დაინტერესებული მხარე, უსდ-ში მოქმედი აკრედიტებული

საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები, ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების უფროსი, დამსაქმებლები, საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა მოქმედი სტანდარტები და რეკომენდაციები, გააანალიზა უნივერსიტეტში არსებული ტენდენციები და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების პოტენციალი, რაც დაეხმარა სამუშაო ჯგუფს შემდგომი ნაბიჯების დასახვაში.

შემდეგ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფმა პირველადი აქტივობების შედეგების შეფასების საფუძველზე შეიმუშავა უნივერსიტეტის 2025-2031 წლების განახლებული სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2025-2027 წლების სამწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომლებიც ეყრდნობა მიღებული შედეგების ანალიზს.

სტრატეგიის დოკუმენტის განსაზღვრული პრიორიტეტების, მიზნებისა და კონკრეტული აქტივობების გადახედვა მოხდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა, დაგეგმვისა მეთოდოლოგიის (ბრძანება #136, 27.12.2023 წ.) მუხლი 5 -ის (**სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმის გადახედვის წესი.**) შესაბამისად, ხოლო გეგმიური მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება (ბრძნება #137, 27.12.2023) შესაბამისად.

პრეამბულა

საქართველო თავისი ფასეულობებითა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილებით, ყოველთვის იყო ევროპული ცივილიზაციის ნაწილი. მისი გეოგრაფიული, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა განუყოფელია ევროპული სივრცისგან, რაც განსაზღვრავს ქვეყნის სტრატეგიულ ორიენტაციას და მისი განვითარების საფუძველია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ,

საქართველო აკეთებს შეუქცევად ნაბიჯებს თავისი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ, რაც ქვეყნის განვითარების უპირობო მიზნად განისაზღვრა.

საქართველოს უმთავრესი მისწრაფება და მიზანი ევროკავშირის სრულფასოვანი წევრობაა, გახდეს დემოკრატიული, თანასწორობისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებზე დაფუძნებული სივრცის ნაწილი. მხოლოდ ამ პრინციპებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი უზრუნველყოფილი იქნეს თითოეული ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები, რაც ქვეყნის სოციალური და კულტურული განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია. ამ სივრცეში მხოლოდ მასშტაბური და მაღალი ხარისხის განათლებაა მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელიც ხელს შეუწყობს თავისუფალ, სამართალიან და ზნეობრივ პიროვნებათა ჩამოყალიბებას.

საქართველოს მიერ დასახული ევროპული მისწრაფებების გათვალისწინებით, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი ისწრაფვის შექმნას ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემო, რომელიც მაქსიმალურად იქნება დაახლოებული ევროპულ სტანდარტებთან. უსდ აცნობიერებს, რომ მხოლოდ ასეთი აკადემიური გარემო უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქვეყნის ინტეგრაციას ევროპულ სივრცეში, არამედ მისი მოქალაქეების მიერ საერთაშორისო ხარისხის ცოდნის მიღებას და ევროპული დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას.

უნივერსიტეტის შესახებ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო სივრცის 33-წლიანი ისტორიის მქონე, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამცველი სუბიექტია, რომელიც ორიენტირებულია ინტელექტუალური რესურსები მიმართოს ქვეყნის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციისა და წარმატებული განვითარებისათვის.

უნივერსიტეტის დაარსება უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იდეას, მისი დამფუძნებლის პროფესორ, თეიმურაზ ქორიძის მიერ 1987 წელს კომუნისტური პარტიის რიგებიდან გასულთა სოციალური დაცვის საზოგადოების შექმნას და მის ბაზაზე, 1991 წლის 11 ივლისში, საზოგადოება „თანადგომა და ამაღლების“ დაფუძნებას. საზოგადოება მიზნად ისახავდა ქვეყანაში კომუნისტური იდეებისა და მსოფლმხედველობისაგან გათავისუფლებას, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებას და ახალგაზრდობის ჩაბმას თავისუფლებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობისკენ სწრაფვაში. საზოგადოება „თანადგომა და ამაღლება“ აერთიანებდა ქვეყნის ღვაწლმოსილ მეცნიერებს, რომელთაც პროფესორ, თეიმურაზ ქორიძის ხელმძღვანელობით დააარსეს საქართველოში პირველი კერძო უმაღლესი სასწავლებელი „დავით აღმაშენებლის სახელობის თბილისის საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი“.

XXI საუკუნეში განათლება და მეცნიერება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილის დასაკავებლად. სდასუ-ს, როგორც საგანმანათლებლო და კვლევითი ინსტიტუციის, ერთ-ერთი ძირითადი მისია და მიზანია საზოგადოებაში არსებული გამოწვევების გადაჭრაში საკუთარი წვლილის შეტანა, კვლევისა და სასწავლო პროცესის ინტეგრაცია თანამედროვე მოთხოვნებთან და გლობალურ ტენდენციებთან.

სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს უნივერსიტეტის განვითარების ხედვას და ამ პროცესის ეტაპობრივ გატარებას მომავალ წლებში. გეგმის მიზანი არის ჩვენი ინსტიტუციის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, ინოვაციური სწავლების და კვლევის მიმართულებით სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და სოციალური პასუხისმგებლობების უზრუნველყოფა. უნივერსიტეტის ძალისხმევა მიმართულია იმაზე, რომ უსდ იყოს არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის შემქმნელი, არამედ ქვეყნის

სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში აქტიური წვლილის შემტანი.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისწრაფებაა გახდეს ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტი უნარების, კვლევისა და ინოვაციის მიმართულებით. სწორედ ამიტომ მისთვის საკვანძოდ მნიშვნელოვანია იმ ძირითადი პრინციპების გატარება, რომელსაც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე იზიარებს.

ორგანიზაციული სტრუქტურა

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა ჩამოყალიბდა ახლებურად, რაც განაპირობა უნივერსიტეტის სტრატეგიულმა მიზნებმა და მათი მიღწევის ეფექტურობის აუცილებლობამ. რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული პრიორიტეტებისა და სამოქმედო გეგმების საფუძველზე განსაზღვრული მიზნების ეფექტურ განხორციელებას. უნივერსიტეტმა დანერგა კოორდინირებული, გამჭვირვალე და გუნდური მუშაობის ფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო და აკადემიურ გარემოში მაღალი სტანდარტების დაცვას, მათ შორის აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების გამყარებას. უნივერსიტეტის საქმიანობა ორგანიზებულია მიმართულებების შესაბამისად, ჩამოყალიბებულია დიფერენცირებული სტრუქტურა მკვეთრად გამიჯნული და ნათლად ჩამოყალიბებული ფუნქცია-მოვალეობებით.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისია

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისიაა ცოდნის შექმნა და გაზიარება კვლევებისა და ინოვაციების გზით, რომელიც ემსახურება მაღალკვალიფიციური, ეთიკური ღირებულებების მქონე კონკურენტუნარიანი

სპეციალისტების მომზადებას, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე.

განათლებისა და სწავლა-სწავლების პროცესის მუდმივი განვითარების უზრუნველყოფა, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის მხარდაჭერა და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალების მომზადება.

უსდ-ის მიზანია, ხელი შეუწყოს მეცნიერების წინსვლას, საზოგადოების ინტელექტუალურ და კულტურულ განვითარებას.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხედვა

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი მუდმივად მუშაობს განათლების, კვლევისა და ინოვაციების განვითარებაზე, რაც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური და სოციალური პასუხისმგებლობის გაზრდას.

უსდ-ის ხედვაა შექმნას თანამედროვე და მაღალეფექტური საგანმანათლებლო გარემო, რომელიც სტიმულს მისცემს ინტელექტუალურ და კულტურულ წინსვლას, ინკლუზიურობასა და მდგრად განვითარებას, რათა უნივერსიტეტმა გააძლიეროს თავისი როლი და მნიშვნელობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ღირებულებები

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ღირებულებებია:

1. **ხარისხის უზრუნველყოფა** - სწავლა-სწავლების, სამეცნიერო და

უნივერსიტეტის მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისას, აგრეთვე საუნივერსიტეტო სერვისების მიწოდებისას, მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

2. **კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი** –მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც აკადემიურ და პროფესიულ სამყაროში მაღალი კომპეტენციით გამოირჩევიან.
3. **ინოვაცია და კვლევები** – უნივერსიტეტი ხელს უწყობს ცოდნის მუდმივ ზრდასა და მეცნიერების განვითარების პროცესს. უნივერსიტეტი ასრულებს აქტიურ როლს ინოვაციების შექმნასა და კვლევების განხორციელებაში, რაც ახალი იდეების დანერგვისა და ცხოვრების ყველა სფეროში პროგრესის საწინდარია.
4. **გამჭვირვალობა** - უნივერსიტეტი ყველა პროცესს მართავს გამჭვირვალობის პრინციპებზე დაფუძნებით, რაც გამოხატულია შესაბამისი რეგულაციებისა და მიღებული გადაწყვეტილებების სახით.
5. **ეთიკის პრინციპების დაცვა** – უნივერსიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეთიკურ და მორალურ ღირებულებებს, რომელიც პასუხისმგებლიანი, სამართლიანი და სანდო საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველია. უნივერსიტეტი ხელს უწყობს, რომ სტუდენტები და თანამშრომლები იყვნენ დემოკრატიული იდეალების ერთგულები და ჰქონდეთ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა.
6. **მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლა და განვითარება** – უნივერსიტეტი ხელს უწყობს უწყვეტი განათლების პრინციპს, რაც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს მუდმივად განავითარონ თავიანთი ცოდნა და უნარები.
7. **თანასწორობა და ინკლუზიურობა** – უნივერსიტეტი ხელს უწყობს თანასწორობისა და ინკლუზიის პრინციპების გავრცელებას, რაც უზრუნველყოფს სამართლიან, თავაზიან და თანასწორ გარემოს ყველა

სტუდენტისა და თანამშრომლისთვის.

8. **სოციალური პასუხისმგებლობა** – უნივერსიტეტი მხარს უჭერს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს, უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის აქტიურ მონაწილეობას სოციალურ აქტივობებში. პასუხისმგებლობის ფარგლებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.
9. **გლობალური ხედვა** – უნივერსიტეტი ხელს უწყობს გლობალური განათლების განვითარების პროცესებს და თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნის და კულტურის წარმომადგენლებთან.
10. **სამართლიანობა** – უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს სამართლიანი და ზნეობრივი ღირებულებების გათვალისწინებით ყველა გადაწყვეტილების მიღების დროს.
11. **აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება** - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პიროვნების ფუნდამენტური უფლებების დაცვას, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი, შეხედულება და იდეა.
12. **აკადემიური თავისუფლება** - აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლებაა, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლა-სწავლება და სამეცნიერო კვლევა.

ეს ღირებულებები ხელს უწყობს არა მხოლოდ სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და თანამშრომლების, არამედ საზოგადოების საერთო კეთილდღეობის და განვითარებისთვის გრძელვადიანი გეგმის შემუშავებას.

SWOOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- ✓ უნივერსიტეტის მოღვაწეობის 33-წლიანი მრავალპროფილური გამოცდილება;
- ✓ უნივერსიტეტის ხელსაყრელი მდებარეობა, განვითარებული ინფრასტრუქტურა და სტაბილური ფინანსური რესურსი;
- ✓ კონკურენტუნარიანი საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები;
- ✓ საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებული სამეცნიერო და აკადემიური პერსონალი;
- ✓ თანამშრომლობა საქართველოსა და უცხოეთის სამთავრობო, კულტურულსაგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- ✓ კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით საქმიანი და აქტიური ურთიერთთანამშრომლობის გზრდა სახელმწიფო დაწესებულებებთან და კერძო სექტორთან;
- ✓ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლება;
- ✓ სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენება;
- ✓ ძლიერი სტუდენტური თვითმმართველობა;
- ✓ შიდა საუნივერსიტეტო მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტები;
- ✓ სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული სერვისები;
- ✓ განვითარებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა;
- ✓ ფინანსური მდგრადობა;
- ✓ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გადინების დაბალი მაჩვენებელი;
- ✓ შრომის ბაზრის რეგულარული კვლევა და ანალიზი;
- ✓ დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სასწავლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავებასა და

განვითარებაში;

- ✓ უცხოურ უნივერსიტეტებთან ხელმოწერილი მემორანდუმები;
- ✓ სტუდენტებისა და პროფესორ/მასწავლებლებისთვის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სასერტიფიკატო კურსების შეთავაზება;
- ✓ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის მზარდი დინამიკა;
- ✓ საკუთარი ავტორიზებული ტელევიზია სდასუ-TV;
- ✓ თანამედროვე ბიბლიოთეკა მდიდარი რესურსით;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მედიცინისა და სტომატოლოგიის მიმართულების კლინიკური ბაზები;
- ✓ უნივერსიტეტის პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგ-ცენტრი;
- ✓ სდასუ-ს საკუთრებაში არსებული ქართულ-ინგლისური სტომატოლოგიური კლინიკა;
- ✓ კრიმინალისტიკური ლაბრატორია;
- ✓ იმიტირებულ სხდომათა სასამართლო დარბაზი;
- ✓ თანამედროვე ციფრული პლატფორმები.

გასაუმჯობესებელი მხარეები:

- ✓ ორგანიზაციული სტრუქტურა;
- ✓ ინსტიტუციაში ჩამოყალიბებული ხარისხის კულტურის გაძლიერება;
- ✓ მედიცინის ერთსფეხურიანი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განხორციელება;
- ✓ მოთხოვნადი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება/განხორციელება;
- ✓ საზოგადოებასთან ურთიერთბის კულტურის გაძლიერება;
- ✓ სწავლა-სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერება;
- ✓ ელექტრონული კურსების მომზადება;

- ✓ სტაჟირების და პრაქტიკის ხელშეწყობა.
- ✓ ინკლუზიური და თანასწორი გარემოს ჩამოყალიბება;
- ✓ Erasmus+ და სხვა სამეცნიერო აქტივობების განხორციელება;
- ✓ საკომუნიკაციო არხების გაძლიერება;
- ✓ კავშირების გაღრმავება კერძო და საჯარო სექტორთან.

რისკები და საფრთხეები:

- ✓ უცხოელი პროფესიონალი კადრების ნაკლებობა;
- ✓ მაღალი კონკურენცია;
- ✓ ქვეყნის შიგნით საკანონმდებლო ცვლილებები;
- ✓ გლობალური ეკონომიკური ცვალებადი ტენდენციები;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი და სწრაფად ცვალებადი გარემო;
- ✓ მაღალი კონკურენცია.

განვითარების შესაძლებლობები:

- ✓ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის ფართის გაზრდა, შესაბამისად აღჭურვა;
- ✓ კვლევის პრიორიტეტული სფეროების განახლება და შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის გაძლიერება;
- ✓ ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის გაძლიერება;
- ✓ საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავება და ამ მიმართლებით მუშაობის გაძლიერება;
- ✓ სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა;
- ✓ საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება ცალკეული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის თუ ცალკეული აკადემიური

პროგრამისათვის;

- ✓ სწავლების ელექტრონულ ფორმებისა და დისტანციური სწავლების ეტაპობრივი დანერგვა;
- ✓ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება;
- ✓ ბიზნესპარტნიორებთან მოლაპარაკებების გაძლიერება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით;
- ✓ ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავება;
- ✓ უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და მათი რაოდენობის ეტაპობრივი გაზრდა;
- ✓ ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალის მოზიდვა;
- ✓ ხელოვნური ინტელექტის რესურსების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში;
- ✓ ინტერპერსონალური და მულტიკულტურული კომპეტენციების ხელშეწყობების გაძლიერება სასწავლო კურსებში;
- ✓ ინკლუზიური და თანასწორი გარემოს ჩამოყალიბება;
- ✓ სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- ✓ საგანმანათლებლო გამოფენებსა და ფორუმებში მონაწილეობის მიღება;
- ✓ დამსაქმებლებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა;
- ✓ ახალი კურსებისა და აქტივობების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში ლიდერობის, გუნდური მუშაობის და სხვა კრიტიკული უნარების განვითარებას.

სტრატეგიული პრიორიტეტები - სტრატეგიული მიმართულება/პრიორიტეტი 1 - ინსტიტუციური გაძლიერება

სდასუ საქართველოში პირველი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის ისტორია 33 წელს ითვლის. ამ დროში უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საზოგადოების განვითარებაში და ხელი შეუწყო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში და არა მხოლოდ კონკურენტუნარიანი პროფესიონალების, არამედ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური ღირებულებების მქონე მოქალაქეების აღზრდაზე ზრუნავს. თუმცა, თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, ინსტიტუციური გაძლიერება და შესაძლებლობების გაზრდა მნიშვნელოვანია ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად და შენარჩუნებისთვის.

კონკრეტული ფორმულა ინსტიტუციური გაძლიერებისთვის და შესაძლებლობების განვითარებისათვის არ არსებობს, თუმცა აუცილებელია მიმდინარე გამოწვევებისა და სტრატეგიული პრიორიტეტების და მიზნების სწორი შეფასება და ამის მიხედვით იმ კომპეტენციების განვითარება და შესაძლებლობების გამოყენება, რომელიც უკვე დაგროვილია უნივერსიტეტში, ინსტიტუციური გაძლიერება და შესაძლებლობების განვითარება არ წარმოადგენს ერთჯერად სამუშაოს მოკლევადიანი შედეგების მიღწევისათვის, ეს არის უწყვეტი პროცესი ორგანიზაციის მდგრადობისა და ეფექტიანობის მიღწევისათვის.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინსტიტუციური გაძლიერებისთვის პრიორიტეტი ენიჭება პროცესის მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მოიცავს „უნივერსიტეტის მდგრადობის, ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას ინსტიტუციური სტრუქტურის, ადამიანური რესურსების და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების მეშვეობით, ინსტიტუციური მმართველობისა და სამსახურების საქმიანობის შეფასების

მექანიზმებს. უნივერსიტეტის საინფორმაციო სივრცეში სწორად პოზიციონირება უმნიშვნელოვანესია, რათა გამოიკვეთოს სდასუ-ს წვლილი გლობალური, რეგიონული და ეროვნული ამოცანების გადაწყვეტაში, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებასა და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში საზოგადოების განვითარებაში, რათა განხორციელდეს დასახული მიზნები, გაიზარდოს ორგანიზაციული ეფექტურობა და ხელი შეეწყოს უნივერსიტეტის უახლოეს და გრძელვადიან წარმატებას როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო დონეზე.

პროცესების მართვის ეფექტიანი სისტემა შესაძლებელს გახდის ეტაპობრივად შეიქმნას და დაინერგოს ისეთი პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერისტეტში ხარისხის კულტურის განვითარებას, რომელიც გავრცელდება ყველა სერვისსა და საქმიანობაზე. მხოლოდ ხარისხის განვითარებაზე მუდმივად ზრუნვით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს მთავარი მიზანი - სდასუ გახდეს ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო უნივერისტეტი. აღნიშნული გარემოებები მოითხოვს სტუდენტების, პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების ადექვატურ გააზრებას, მუდმივი დიალოგის წარმართვასა და გასაუმჯობესებელი საკითხების თანმიმდევრულ გამოვლენასა და მასზე სათანადო რეაგირებას.

მმართველობითი სტრუქტურები ეფექტური ინსტიტუციური მართვის ქვაკუთხედია. ისინი განსაზღვრავენ, თუ როგორ მიიღება გადაწყვეტილებები, გამოიყოფა რესურსები და განხორციელდება პოლიტიკა. მდგრადი ზრდის ხელშეწყობისთვის აუცილებელია მმართველობის ჩარჩოების გაძლიერება გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტურობის პრიორიტეტების მინიჭებით. მმართველობის სტრუქტურებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ როლები და პასუხისმგებლობები დაწესებულების ყველა დონეზე, აკადემიური საბჭოდან ადმინისტრაციულ და აკადემიურ ერთეულებამდე.

მმართველობა, ინსტიტუციური გაძლიერება და რესურსების განვითარება წარმოადგენს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიის განვითარების გეგმის ხერხემალს. რამდენადაც ის დგას გამოწვევების წინაშე, ამ

სფეროებზე ფოკუსირება უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მდგრადობას მისი მისიის შესაბამისად. ეს ყოვლისმომცველი სტრატეგია ხაზს უსვამს მმართველობის ჩარჩოების გაძლიერებას, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების და ინფრასტრუქტურის განვითარებას აკადემიური სრულყოფილების, ინოვაციებისა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2 - ხარისხის უზრუნველყოფის გაძლიერება

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისთვის ხარისხის კულტურის განვითარება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს, ხარისხის მართვა მოიცავს უნივერსიტეტის ყველა სერვისსა და საქმიანობას. ამდენად, უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურას აქვს ხელმისაწვდომობა იმ ინფორმაციასა და მონაცემებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ხარისხის მართვასა და მისი განვითარების პროცესს.

სდასუ-ს ხარისხის მართვაში პრიორიტეტი ენიჭება ყველა იმ მიმართულებას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განათლების, კვლევის, ინოვაციების დანერგვის, ადამიანური რესურსების განვითარებისა და სტუდენტთა მომსახურების უმაღლესი ხარისხის მიღწევას. ასეთი მიდგომა უსდ-ს მისცემს შესაძლებლობას გააუმჯობესოს მისი რეპუტაცია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

უსდ-ს მიზანია მოახდინოს ხარისხის ურუნველყოფის სისტემის მუდმივი განახლება; ხარისხის უკუკავშირის ციკლის დასრულება, გამოკითხვის მონაცემების შემდგომი მიზანმიმართული ანალიზითა და შესაბამისი ზომების გატარებით.

უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარების ხელშეწყობა გრძელვადიანი და სისტემური პროცესია, რომელიც მოიცავს თითოეული თანამშრომლის აქტიურ ჩართულობას. ეს ხელს უწყობს არამხოლოდ განათლების და კვლევების სტანდარტების ამაღლებას, არამედ სტუდენტებისა და პერსონალის მოტივაციის

ზრდას, რაც საბოლოოდ ხელს უწყობს უნივერსიტეტის რეპუტაციის გაუმჯობესებას. პარტნიორობისა და თანამშრომლობის გაძლიერებას, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე.

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარგებლიანობის და საჭიროების პრინციპი, რაც ითვალისწინებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მოთხოვნებზე რეაგირებას. მუდმივი მონიტორინგი და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება აუცილებელია, რათა შეიქმნას განათლების მისაღებად ისეთი გარემო, რომელიც მოახდენს სტუდენტების საჭიროებების უზრუნველყოფას. ამისთვის მნიშვნელოვანია ინოვაციური სწავლების მეთოდების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის უწყვეტ გაუმჯობესებას. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს იმ მეთოდების დანერგვაზე, რომლებიც ეფექტურად პასუხობს თანამედროვე განათლებისა და ტექნოლოგიების მოთხოვნებს.

გარდა ამისა, შიდა და გარე შეფასების პროცესების გაუმჯობესება ხელს უწყობს უნივერსიტეტის განათლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. ამისთვის საჭირო ხდება მონაცემების ანალიზი და ყოველწლიური ანგარიშების შემუშავება, რაც ზრდის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეტი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დანერგვას. უნივერსიტეტი მუდმივად მუშაობს კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე, რათა ყველა დაინტერესებული მხარე (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები) იყოს ჩართული საუნივერსიტეტო პროცესებში.

რაც შეეხება სასწავლო და სამეცნიერო გარემოს, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ჰიბრიდული სწავლების მეთოდების გაძლიერებას. თანამედროვე ტექნოლოგიების სწორად გამოყენება და ეფექტური რესურსების განახლება აუცილებელია, რათა სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ მარტივი და შეუფერხებელი წვდომა სასწავლო და სამეცნიერო მასალებზე. ამასთან ერთად, მუდმივი ყურადღება ექცევა სასწავლო პროგრამების განვითარებას, მათ განახლებას და დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას.

უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული აქტივობები პროფესიულ ზრდასთან ერთად, ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებას პროფესორ-მასწავლებლებში, რაც უზრუნველყოფს მეტი ეფექტურობის მიღწევას სწავლა-სწავლების პროცესში.
მუდმივი კავშირი უნდა არსებობდეს სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის, რათა მათ შეძლონ დისკუსიების გამართვა, საკუთარი იდეების და მოსაზრებების გამოთქმა.
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ხარისხის მართვა ეფუძნება მკაფიო მიზნებს, პროცედურებსა და სტრუქტურებს, მუდმივ მონიტორინგსა და შეფასებებს, რექტორატისა და ფაკულტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მიღებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს.
უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანი მუშაობა ხელს უწყობს აკადემიური სტანდარტების სრულყოფას და სასწავლო პროცესის მუდმივ გაუმჯობესებას. ცვლილებები მიზნად ისახავს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სისტემატიზაციას, ეფექტურობას, გამჭვირვალობასა და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

სტრატეგიული პრიორიტეტი 3 - პროგრამული გაძლიერება (საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გეგმების და სწავლების მეთოდების მოდერნიზაცია)

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი აცნობიერებს საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარების აუცილებლობას, განათლების, დასაქმების ბაზრისა და განვითარებადი ტექნოლოგიების ეროვნულ და გლობალურ განვითარებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გეგმებისა და სწავლების მეთოდების მოდერნიზაცია უსდ-ს 7-წლიანი სტრატეგიული გეგმის მთავარი საყრდენია. უსდ-ს მთავარი მიზანია უზრუნველყოს სტუდენტებმა მიიღონ მაღალი ხარისხის, ინოვაციური განათლება, რომელიც ამზადებს მათ წარმატებისთვის სწრაფად ცვალებად გარემოში.

შრომის ბაზრის დინამიური მოთხოვნებისა და სტუდენტების მზარდი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, უსდ სისტემატურად განაახლებს საგანმანათლებლო პროგრამებს. აქცენტი გაკეთდება მოქნილი, მულტიდისციპლინარული პროგრამების შექმნაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ კრიტიკულ აზროვნებას და კრეატიულობას.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული დარგობრივი მიმართულებების განვითარება სწავლების სამივე საფეხურზე. უსდ-ს მიზანია უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განვითარება, თავსებადობა საერთაშორისო სტანდარტებთან და მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამების სისტემური განახლება და სრულფასოვანი ინტერნაციონალიზაცია. უსდ მუდმივად ზრუნავს თანამედროვე საგანამანათლებლო პროგრამების/პროექტების შემუშავება, დანერგვაზე, ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაძლიერებასა და ცოდნის ტრანსფერის განვითარებაზე.

უსდ-ს მიზანია დანერგოს ახალი პროგამები, რომლებიც ასახავს როგორც გლობალურ, ისე ადგილობრივ ტენდენციებს და უპასუხებს განათლებისა და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს. უსდ კიდევ უფრო გააძლიერებს პარტნიორობას წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, გაიზიარებს საუკეთესო პრაქტიკას და გაზრდის გლობალურ პერსპექტივებს, რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას გახდნენ კონკურენტუნარიანები, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. უსდ-სთვის პრიორიტეტულია უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ინტეგრაცია სწავლა-სწავლების პროცესში. დაინტერესებული მხარეების მუდმივი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, მოდერნიზების პროცესში. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი მუდმივად მუშაობს საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფაზე, რათა ისინი იყოს შესაბამისობაში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან.

სწავლა-სწავლების პროცესში უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს ინოვაციურ მეთოდებს, რომლებიც შესაბამისი და ეფექტურია სტუდენტების მრავალფეროვანი

საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა განვითარებული სფეროების, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი და ციფრული სწავლება, ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში, რათა სტუდენტებს მიეცეთ უნიკალური შესაძლებლობა შეისწავლონ თანამედროვე ტექნოლოგიები და შეძლონ მათი გამოყენება სხვადასხვა დარგებში.

უნივერსიტეტის მიზანი არის ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც წაახალისებს შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას, გლობალური, რეგიონული და ეროვნული პრობლემის გადაჭრას. უნივერსიტეტი ტრადიციული სწავლების ფორმების (როგორიცაა ლექციები) გარდა განახორციელებს კოლაბორაციულ პროექტებს, შემთხვევის შესწავლას, ჯგუფურ დისკუსიებს და პრაქტიკულ სწავლის გამოცდილებებს, რათა სტუდენტებს მიეცეთ ფართო და მრავალფეროვანი სასწავლო გამოცდილება.

სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს ვირტუალურ სასწავლო პლატფორმებს, ციფრულ ხელსაწყოებს, სიმულაციებს და ინტერაქტიულ მედია რესურსებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო გამოცდილების გამდიდრებას. ჰიბრიდული სწავლება საშუალებას მისცემს სტუდენტებს მიეცეთ სწავლის უფრო მოქნილი და გამარტივებული მიდგომები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე პირობებში.

ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და აკადემიური წრეების აქტიურ ჩართულობას. მათი გამოხმაურება სასწავლო პროგრამების შექმნასა და მოდერნიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს უკუკავშირის მექანიზმებს, როგორიცაა რეგულარული გამოკითხვები, რომლებსაც გაანალიზება და შესაბამისი ზომების მიღება სჭირდება საგანმანათლებლო პროცესების ეფექტურობისთვის.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4 - სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების განვითარება

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისთვის სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების სფეროში უნივერსიტეტის პოზიციების გაძლიერება ერთ-ერთი პრიორიტეტულია, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის რეპუტაციის ზრდას, მის ფუნქციონირებას გლობალურ სამეცნიერო სივრცეში, აგრეთვე ინოვაციური იდეების და კვლევების წარმატებულ განვითარებას.

უნივერსიტეტი წარმოდგენილია როგორც ტრადიციული, ისე ახალი ინოვაციური სასწავლო და კვლევითი ერთეულებით (ფაკულტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, კლუბები და სხვა), რომელიც სხვადასხვა მიმართულებებს აერთიანებს. კვლევითი ერთეულების შექმნის აუცილებელი პირობაა შესაბამისი საკითხის აქტუალობა და მნიშვნელობა, რომელიც პასუხობს ადგილობრივ და საერთაშორისო მოთხოვნებს. კვლევითი ერთეულების მიერ წარმოებული სამეცნიერო კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისთვის, რაც მნიშვნელოვანია ცოდნის ტრანსფერის უზრუნველყოფისათვის და ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

აღნიშნულის მისაღწევად აუცილებელია კვლევითი ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, განახლებული ლაბორატორიები, ახალი ტექნოლოგიური მოწყობილობების შეძენა, რაც გააუმჯობესებს კვლევის პროცესს და მის ხარისხს. ასევე კოორდინაცია და ინტერდისციპლინური თანამშრომლობა, მრავალდარგობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართვის სტიმულირება, რაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს მუდმივად განავითაროს ახალი ტექნოლოგიები და საერთაშორისო სივრცეში გამორჩეული ადგილი დაიკავოს.

კვლევითი ინფრასტრუქტურისა და რესურსების გაძლიერება წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სამეცნიერო

საქმიანობის ხარისხისა და რაოდენობის ზრდას. ამასთანავე, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს კვლევის დაფინანსების გაზრდას, აკადემიური პერსონალის და მკვლევარების საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით.

უნივერსიტეტი მუდმივად მუშაობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებაზე, რათა ხელი შეუწყოს ცოდნის გაზიარებას და თანამშრომლობის გაღრმავებას. ახალი იდეების მხარდაჭერა და უნივერსიტეტში ინოვაციური ჰაბების შექმნა, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კვლევითი და ინოვაციური გარემოს გამრავალფეროვნებაში.

ამასთან, უნივერსიტეტი შეიმუშავებს და დანერგავს ახალ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც ეხმიანება თანამედროვე მოთხოვნებს და ხელს უწყობს სტუდენტების შემოქმედებითი უნარებით აღჭურვას. თანამშრომლობის გაღრმავება დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მძლავრი ბიძგი იქნება როგორც კვლევითი, ისე საგანმანათლებლო პროექტების წარმატებისთვის. უნივერსიტეტი აქტიურად ვითარდება გლობალური ქსელების მიმართულებით, რაც მას აძლევს მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას პარტნიორებთან.

კვლევისა და ინოვაციების ხელმისაწვდომობა სტუდენტს მისცემს საშუალებას ჩართოს კვლევით საქმიანობაში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას. სტუდენტური სტარტაპების ხელშეწყობა განაპირობებს უნივერსიტეტის ინოვაციურ განვითარებას და მოახდენს ახალი იდეების კომერციალიზაციას მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში.

აღნიშნულ პროცესთან ერთად, უნივერსიტეტი მუდმივად მუშაობს მეცნიერებისა და პროფესიული ჟურნალების პოპულარიზაციაზე, რათა სტუდენტებსა და მეცნიერებს მიეცეთ საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ პლატფორმებზე წვდომა საკუთარი კვლევითი საქმიანობის განსავითარებლად. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტების რაოდენობის გაზრდა და მათი ეფექტური მართვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა,

რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

მრავალფეროვანი და დინამიური კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მუდმივი მონიტორინგისა და შეფასების პროცესს, რათა განისაზღვროს არსებული ღონისძიებების ეფექტურობა და შეიქმნას უკეთესი პირობები კვლევის განვითარებისთვის.

სტრატეგიული პრიორიტეტი 5 - სტუდნეტები (სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სერვისები და დასაქმება)

საქართველს დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბება და სტუდენტური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება. უნივერსიტეტის მიზანია შექმნას ისეთი გარემო, სადაც სტუდენტები მიიღებენ ხარისხიან განათლებას, მხარდაჭერას და მიაღწევენ პროფესიული განვითარების მაღალ საფეხურს, რისთვისაც აუცილებელია არამხოლოდ სასწავლო პროცესის გაუმჯობესება, არამედ შესაბამისი სერვისებისა და რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პიროვნულ და სოციალურ საჭიროებებს. ამ მიმართულებით უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს და სტუდენტებს სთავაზობს ისეთ ინტეგრირებულ სერვისებს, როგორიცაა კარიერული კონსულტაციები და სწავლების ტექნოლოგიური მხარდაჭერა. ამასთან, დიდი ყურადღება ეთმობა უნივერსიტეტში სწავლის გამოცდილების გაუმჯობესებას და ინკლუზიური, მრავალფეროვანი გარემოს შექმნას, რომელიც შესაბამისობაშია თანამედროვე მოთხოვნებთან.

უნივერსიტეტი ახდენს სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების ხელშეწყობას, რისთვისაც გეგმავს ისეთი ტიპის აქტივობებს, როგორიცაა: კულტურული, სპორტული და საზოგადოებრივი. აღნიშნული ტიპის აქტივობები ხელს უწყობს არამხოლოდ ჯანსაღი კომუნიკაციის გაღრმავებას დაწესებულებასა და სტუდენტებს შორის, არამედ ავითარებს სტუდენტური ცხოვრების ხარისხს. უნივერსიტეტი მუდმივად მუშაობს შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზებასა და ამ მიმართულებით კონკრეტული მიზნების მიღწევაზე.

სდასუ-ს სტუდენტების უფლებები და მოვალეობები განსაზღვრულია ოფიციალური დოკუმენტებით, როგორიცაა უნივერსიტეტის წესდება, ეთიკის კოდექსი და სტუდენტების ინდივიდუალური ხელშეკრულებები. სტუდნტები ქმნიან სტუდენტურ თვითმმართველობას და მოქმედებენ დებულების შესაბამისად.

სტუდენტები მონაწილეობას იღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნისა და მოდიფიცირების პროცესში, რეგულარულად ხდება მათი გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების გაანალიზება მხარეების ინტერესების გათვალისწინების მიზნით.

უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს სტუდენტების კარიერულ განვითარებასა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნებაზე. უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს კარიერული წინსვლისთვის საჭირო უნარების განმავითარებელი ღონისძიებების ორგანიზება, ჩატარებას.

სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა, სერვისები და დასაქმება უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა გულისხმობს ინოვაციური, თანამედროვე საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას, რომლებიც სრულად პასუხობენ სტუდენტების საჭიროებებსა და ინტერესებს.

უნივერსიტეტი ზრუნავს ძლიერი კავშირების განვითარებაზე კერძო და საჯარო სექტორთან, რათა სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა გაიარონ პრაქტიკები და დასაქმდნენ წამყვან ორგანიზაციებში. სთავაზობს სპეციალურ კურსებსა და

ღონისძიებებს, რომლებიც ეხმარება მათ ლიდერული თვისებებისა და გუნდური მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა და სხვა პროფესიული უნარების ჩამოყალიბება, განვითარებაში.

სდასუ-ს სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების გაუმჯობესებას და მათ ხელმისაწვდომობას, რათა სტუდენტები უფრო აქტიურად ჩაერთონ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. კომუნიკაცია და გამჭვირვალობა უმნიშვნელოვანესია სტრატეგიულ პროცესებში, რაც სტუდენტებს უფრო მეტი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას მისცემს და განაპირობებს მათ აქტიურ მონაწილეობას სასწავლო და სხვა აქტივობებში.

უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოებაზე, რაც ხელს შეუწყობს გლობალური აქტივობების ინტეგრაციას, როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ სფეროებში. ამ პროცესის ნაწილია მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება, რათა უნივერსიტეტი დროულად რეაგირებდეს სტუდენტთა საჭიროებებზე და მათთვის საუკეთესო გარემოს შექმნაზე. სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების ხელშეწყობა ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან მიზანს, რადგან ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს, დასახონ და განახორციელონ თავიანთი პიროვნული და პროფესიული განვითარების გეგმა.

სტუდენტური სერვისების ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გაუმჯობესება ასევე მნიშვნელოვანი მიზანია. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტთა საორიენტაციო პროგრამებსა და მათი სერვისების შეფასების პროცესს, რათა მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მათი საჭიროებები და უზრუნველყოს სტუდენტებისთვის მხარდამჭერი სერვისების შეთავაზება.

სტრატეგიული პრიორიტეტი 6 - ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ჩართულობის გაძლიერება

თანამედროვე სამყაროში, მზარდი გლობალიზაციის პირობებში უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის საკითხს განსაკუთრებული როლი ენიჭება, აღნიშნული პროცესის გაძლიერება წარმოადგენს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს. უსდ აღიარებს საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას და დგამს მკაფიო ნაბიჯებს, რათა გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი, თანამედროვე საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში, რისთვისაც აუცილებელია ინტერნაციონალიზაციის პროცესების გაძლიერება. უნივერსიტეტის მიზანია, აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში, რათა სტუდენტებსა და პერსონალს მიეცეს უნიკალური შესაძლებლობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და საერთაშორისო დონეზე პროფესიული კავშირების შექმნას. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება უნივერსიტეტს დაეხმარება გააღრმავოს საერთაშორისო კავშირები და თანამშრომლობის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო რესურსების, ცოდნის და გამოცდილების ინტეგრაციას უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება უნივერსიტეტს მისცემს შესაძლებლობას ითანამშრომლოს საერთაშორისო უნივერსიტეტებთან, კვლევით ცენტრებთან, განხორციელდეს ერთობლივი კვლევები, საერთაშორისო პროექტები, სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები. ხელი შეეწყოს სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის პროცესს და სხვა. საერთაშორისო სტუდენტური და სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება, გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვნება, ერთობლივი, ორენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები უნივერსიტეტს მისცემს შესაძლებლობას მოიზიდოს უცხოენოვანი პერსონალი, გაიზრდება საგანანათლებლო პროგრამებში ჩართული უცხოელ პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობაც. უცხო ენაზე სწავლის შესაძლებლობების გაფართოება უნივერსიტეტს სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრაციის შესაძლებლობას მისცემს, რაც გაამყარებს უნივერსიტეტის იმიჯს. სტუდენტებისათვის სასწავლო გარემო გახდება უფრო მიმზიდველი და საინტერესო.

უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის წარმატებული განვითარება დამოკიდებულია სტუდენტებისა და პერსონალის აქტიურ ჩართულობაზე საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში. ეს პროგრამები საშუალებას მისცემს როგორც სტუდენტებს, ისე აკადემიურ პერსონალს გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა და განავითარონ პროფესიული კავშირები მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

სდასუ გეგმავს ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების დაწყებას პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რაც განაპირობებს როგორც სამეცნიერო კვლევების ინტეგრაციას, ისე საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. ამ პროექტების ფარგლებში მოხდება ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება, რაც საშუალებას მოგვცემს გვქონდეს ინტერაქციული შეხვედრები და გაორმაგებული შესაძლებლობები სამეცნიერო თანამშრომლობისათვის.

უნივერსიტეტის საერთაშორისო რეპუტაციის გაძლიერება და გლობალურ დონეზე პოზიციის ამაღლება, ასევე სწავლების ხარისხის ზრდა, საჭიროებს შესაბამისი რესურსების და ინფრასტრუქტურის არსებობას. ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის წარმატებული განხორციელება მოითხოვს მტკიცე მენეჯმენტის სისტემას, რაც უზრუნველყოფს ყველა სტრუქტურული ერთეულის აქტიურ ჩართულობას და პასუხისმგებლობას. ამ პროცესში, უნივერსიტეტი მუშაობს არამხოლოდ სტრატეგიული მიზნების გადაჭრაზე, არამედ შესაბამისი მხარდაჭერის სისტემების შექმნაზე, რომლებიც უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის გრძელვადიან და ეფექტიან განვითარებას.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი აგრძელებს მუშაობას და გააძლიერებს თავის აქტიურ როლს ინტერნაციონალიზაციის პროცესში, რაც გაზრდის უნივერსიტეტის საერთაშორისო რეპუტაციას, განათლების ხარისხს და სამეცნიერო თანამშრომლობას. უნივერსიტეტის მიზანია, უზრუნველყოს აკადემიური და პროფესიული გარემო, სადაც სტუდენტები და პერსონალი მიიღებს საერთაშორისო გამოცდილებას, გაიღრმავებს ცოდნას და შექმნის კავშირებს მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან.

სტრატეგიული პრიორიტეტი 7 - სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი გამოირჩევა სოციალური პასუხისმგებლობით, რომელიც მის საქმიანობას აკადემიური და კვლევითი ფუნქციების მიღმა საზოგადოებრივ გამოწვევებზე რეაგირებას უძღვნის. უსდ აცნობიერებს საკუთარი როლის სირთულეს და მნიშვნელობას, როგორც განათლებისა და განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს არამხოლოდ ახალგაზრდების, არამედ ფართო საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებას. ამასთან, უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა განიხილება, როგორც მდგრადი განვითარების ძირითადი ნაწილი, რომელიც ემსახურება საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით სფეროებში გრძელვადიანი პოზიტიური ცვლილებების წახალისებას.

მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაციისთვის უნივერსიტეტი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ინკლუზიურობისა და თანასწორობის გაძლიერებაზე. ის აღიარებს უთანასწორობას, როგორც მნიშვნელოვან გამოწვევას განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით და იღებს ვალდებულებას, შექმნას ისეთი პირობები და გარემო, რომელიც მორგებულია სხვადასხვა საჭიროებების მქონე სტუდენტებზე. უნივერსიტეტი განახორციელებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების ხელმისაწვდომობას საუნივერსიტეტო რესურსებზე, მათ შორის ციფრულ პლატფორმებზე, სასწავლო მასალებზე და სასწავლო სივრცეებზე.

ამასთან, ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად გათვალისწინებულია ისეთი რესურსების განვითარება, როგორიცაა აკადემიური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის პროგრამები, სპეციალიზებული ტექნოლოგიები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და მულტიკულტურული ცენტრები, რომლებიც ხელს უწყობენ ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების ინტეგრაციას.

ფინანსური ხელმისაწვდომობის გასაზრდელად შემუშავებულია მხარდაჭერის პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს დიფერენცირებული გადასახადებისა და სტიპენდიების სისტემას. ამ ინიციატივების მიზანია ფინანსური ბარიერების შემცირება, რაც უზრუნველყოფს არამხოლოდ განათლების ხელმისაწვდომობას, არამედ სტუდენტების სოციალური და აკადემიური განვითარებისთვის საჭირო რესურსებზე თანაბარ წვდომას.

ამგვარად, მორგებული გარემო და რესურსები სრულად პასუხობს მდგრადი განვითარების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების საჭიროებებზე მორგებულ და თანასწორი გარემოს შექმნას, ხელს უწყობს მათ სრულფასოვან მონაწილეობას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და მათი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზებას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი ხაზს უსვამს ცოდნის გავრცელებისა და ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას, რაც წარმოადგენს მდგრადი სოციალური განვითარების აუცილებელ პირობას. ტრენინგები, სემინარები, ღია ლექციები და პროექტები, რომლებიც აერთიანებს ეთიკურ და მოქალაქეობრივ ღირებულებებს სასწავლო პროცესში, ემსახურება არამხოლოდ სტუდენტების განათლებას, არამედ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

უნივერსიტეტის გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა წარმოადგენს მდგრადი განვითარების ეკოლოგიური განზომილების განუყოფელ ნაწილს. „მწვანე უნივერსიტეტის“ პრინციპების დანერგვა, ეკოლოგიური ინიციატივების მხარდაჭერა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება ხელს შეუწყობს გრძელვადიანი გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას. ამ მიმართულებით უნივერსიტეტი აქტიურად მოუწოდებს სტუდენტებსა და თანამშრომლებს, ჩაერთონ ეკოლოგიურ პროექტებში და საერთო ძალისხმევით შეუწყონ ხელი გარემოს დაცვას.

სტრატეგიული განვითარება ასევე ითვალისწინებს ადგილობრივ თემებთან მჭიდრო თანამშრომლობას, სოციალური პროექტების ინიცირებასა და მხარდაჭერას, რაც უნივერსიტეტის, ადგილობრივი თემებისა და მთლიანად საზოგადოების მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს.

საბოლოოდ, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი აერთიანებს განათლების, ინკლუზიურობის, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობისა და ეკონომიკური მხარდაჭერის ყველა პრინციპს მდგრადი განვითარების კონცეფციაში. რეგულარული მონიტორინგი, ანგარიშგება და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტის სტრატეგია მორგებულია თანამედროვე გამოწვევებზე და მიმართულია გრძელვადიანი, მდგრადი პოზიტიური გავლენის მისაღწევად.